65
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 823 პარასკევი, 15 თებერვალი 1913 წ. № 823

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 ივნისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** სასახლის ქ, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 **ქ. შ. წ.-კ ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3 **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

12 თებერვალს, 1913 წ. გარდაიცვალა

მიხეილ ბექანის ძე ლოლობერიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი პასიკო მალხაზის ასული** და **შვილი სამსონ მიხეილის ძე.** დაკრძალვა კვირას, 17 ამ თვეს, სოფელ **გოჩა-ჯიხაიშის** მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ეზოში. 109

ქ. გორი.

კვირას, 17 თებერ. გაიმართება ფრიად **საინტერესო და ორიგინალური**

ვოკალურ-მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო-მეჯლისი

მონაწილეობენ:

ვაჟა-ფშაველა—ლექსები
თედო რაზიკაშვილი—ლექსები.
ქ-ნი ვ. ა. დავიდოვისა—სიმღერა.
კ. მელვინეთ-უხუცესი—როიალი.
დ. აკოფაშვილი—სიმღერა.
ია ეკალაძე—ესკიზი.
ი. სალირაშვილი—თარი.
ნ. გოცირიძე—სცენები.
ს. ფაშალიშვილი—ლექსები.
ი გრიშაშვილი—ლექსები.

დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ◆ ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება: „ქართლის“ რედაქციაში, ქალაქის აფთიაქში **ივ. კვალიაშვილთან** და საურთიერთო ნდობის ბანკში **ალ. ჩუტკერაშვილთან.**

1051 გამგე **ა. გძელიშვილი.**

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. . . .	ფ. 50 კ.
ბავშვის მოვლა ნათაძისა .	25 „
„ „ კომბიხა. ნათ. მაჩაბ.	40 „
დედაკაცის ხვედრი. . .	15 „
მშობლები და მათი შვილები—როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ	30 „
ჩვენს ქალებს. შტარის წერილები	20 „
სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა	30 „
აკაკის საიუბილეო კრებული.	25 „
Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ . .	70 „
Эскизы и Этюды. И. Хонэли	1 2

მიღებულია ახალი წიგნები:

Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ	50 „
Нетронутый уголокъ. Ведребисели.	60 „
მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა . . .	40 „
ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი. ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა	50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности срел. гр. нас. 1141

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასხივება რენტგენით** იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ოლღას** ქ., № 94. კიროჩნი ქუჩის ახლო, სანიტარო განყოფი. პირდაპირ 102

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, **ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

ექიმი ალ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ კახეთის ქ. № 6.

ტფილისის სავაჭრო ბანკის

დამაარსებელთა

საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აუწყებს, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქმედების დაწყებისათვის, აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

40% გადასახადი, რომელიც თითო აქციაზე 100 მან. უდრის,

აქციონერთა ხელის შესაწყობად

მიიღება საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში,

(**ბებუთოვის ქუჩა, სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა, № 50**),

რათა შემდეგ წარდგენილ იქმნას სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში

თებერვლის 11—20-დე.

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გარდასახადის შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გარდახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მიცემამდე.

სხვა ქალაქების აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გადმოსცენ პირდაპირ **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით,** ან კომიტეტის თავმჯდომარის

არკადი ნაზარის ძე მილოვის

სახელობაზე, ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო წარწერის მოსახდენად.

ფულის მიღება სწარმოებს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე. 1046

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 52.

გ. ვ. გედევანოვის ბენეფისი.

კვირას, 17 თებ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **დამსახურებულ მსახიობის**

◆ **გედეონ ვასილის ძის გედევანოვის საბენეფისოდ** ◆

კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორედ შექსპირის პიესა

მეფე ლირი ტრაგედია 5 მოქ. და 8 სურათად, თარგმნილი **ქავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.**

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მარჯანიძე, ?გალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ყიფიანი, კიციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს. ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 ადმინ ქართ. დრამ. ს. ზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ასეთივე ის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მიტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ი. ზ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.
ქალთა და საშოსნეულებანი.	ექიმი-ქალი **გერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თოკაბაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხუნდაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ი. ზ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ 914 და წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესაფერი სავაჭრობით. 1035

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნეულ. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა,** რკინის პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი.** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე 7—92. 97.

საგურთალოზე

მშვენიერა ლაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. 1053

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშით პეტერ. სააგენტოს).

13 თებერვლის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

გრაფ. ბენიგსენი კითხულობს მოხსენებას 484,990 მანეთის გადადების კანონ-პროექტის თაობაზე, რომანოვთა საგვარეულოს სადღესასწაულო ხარჯის დასაფარავად.

ტულიაკოვი კენჭის ყრის მოტივზე ლაპარაკობს და აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატები კანონ-პროექტის წინააღმდეგნი არიან და მის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენო.

გოდნევი წინადადებას იძლევა კიდევ 100 მანეთი მიუმატონ ყაზანის მიტროპოლიტის ეფრემის საფლავზე ნიშნის ასაშენებლად, რომელსაც პირველი ადგილი ეჭირა სრულიად რუსეთის სამღვდელოების კრებაზე, მიხეილ თეოდორეს ძის რომანოვის მეფედ არჩევის დროს. კანონ-პროექტი გოდნევის შესწორებით სათათბირომ ერთხმად მიიღო.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

კრინსკი კითხულობს მოხსენებას კანონ-პროექტის თაობაზე, რომელიც არღვევს პოლონეთის სამეფოში სამაიორატო მამულის იჯარით გაცემის უფლების აკრძალვას. კანონ პროექტით ნება ეძლევათ გაიცეს სამაიორატო მამული იჯარით 24 წლის ვადამდე. ამასთანავე საიჯარადრო ფული ერთი წლით ადრე უნდა იყოს მიღებული. ებრაელებს ეკრძალებათ სამაიორატო მამულის იჯარით აღება.

მღ. შულლოვიჩის აზრით, საჭიროა დაემატოს, რომ ხოლმის გუბერნიაში მოიჯარადრედ მხოლოდ მართლმადიდებელნი იყვნენ.

ბომაში უკმაყოფილებას აცხადებს ებრაელთა უფლების ახალ შეზღუდვის წინააღმდეგ. ამ შევიწროებაში არ არის, არც ლოღიკა და არც სარგებლობა.

დიმშა. არ შეიძლება საქალაქო უფლებანი სარწმუნოებით განისაზღვროს. პოლონეთის ეკონომიურ ინტერესების თვალსაზრისით და აგრეთვე ხოლმშჩინის გამოყოფის კანონის თვალსაზრისით, ყოველგვარი სარწმუნოებრივი შეზღუდვა სამაიორატო მამულების იჯარით გაცემის კანონში უარყოფილი უნდა იყოს.

კერენსკი. რადგანაც კანონ-პროექტი ეწინააღმდეგება გლეხთა და სა-

ხელმწიფო ინტერესებს, ამისთვის იგი უარყოფილ უნდა იყოს. სათათბირომ მაიორატების გაუქმება უნდა მოითხოვოს და ეს მამულები ადგილობრივ მცხოვრებ გლეხებს გადასცეს.

მარკოვი მეორე. მემარჯვენენი კანონ-პროექტის მომხრენი არიან, მხოლოდ იმ უსათუო პირობით, რომ ებრაელთა უფლება იჯარის გაცემის საქმეში შეზღუდული იყოს. მარკოვი ახასიათებს ებრაელებს, მავნებელ ხალხს, რომელნიც ადგენენ ბოროტ ასოციაციებს რიტუალურ მკვლელობის მოსახდენად.—მაგალითად მოჰყავს იუშჩინსკის მკვლელობა (მარცხნივ ასტყდა ხმაურობა, პროტესტები, ადგილებიდან მიჰმართავენ თავმჯდომარეს შეაჩეროს მარკოვი. მარჯვნივ ოპოზიციის წინააღმდეგ ისმის პროტესტები).

თავმჯდომარე კამათის წესიერი ხელმძღვანელობა თავმჯდომარეს ვალია და მისი შენიშვნები ხმაურობის გამო არ ისმის. თავმჯდომარე მოუწოდებს პურიშკევიჩს და სხვებს წესიერებისაკენ.

მარკოვი ათავებს სიტყვას და მოითხოვს, რომ ებრაელთა უფლებანი უეჭველად შეიზღუდოს.

როდიჩევი პოლონეთის სამეფოში მაიორატის დაარსებას ღრმა შეცდომადა სთვლის. საჭიროა საკანონმდებლო გზით სრულიად გაუქმდეს მაიორატები. მოლაპარაკე ყოველგვარ უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

დოცენკო, მოსკალიუკი და კოვალი რუს გლეხთა სახელით ებრაელთა უფლების შეზღუდვას მოითხოვენ.

დუროვი გლეხთა და შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ისინი არარუსთა შეზღუდვის წინააღმდეგ მისცემენ ხმასო.

ბურიანოვი. სოც.-დემ. წინააღმდეგნი არიან მაიორატებისა. რუსეთის პროლეტარიატი ებრაელ მუშებთან მეგობრულად სცხოვრობენ. წინააღმდეგია ებრაელების შეზღუდვისა, რადგანაც არგენტინის ახალშენებმა დაგვანახვეს, რომ ებრაელი ჩინებული მიწათმოქმედია (მარცხნივ ტაში).

გერასიმოვი. კადეტები კანონ-პროექტის წინააღმდეგ მისცემენ ხმასო.

კერენსკი. შრომის ჯგუფი კანონ-პროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას; შეაქვს მემამულეთა მიწების ნაძალადევ ჩამორთმევის ფორმულა.

სათათბირომ კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით მიიღო. შრომის ჯგუფის ფორმულა უარყოფილი იქმნა ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ სოც.-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფისა. სათათბირო იხილავს კადეტების საკანონმდებლო მოსაზრებას, სასურველად იცნოს თუ არა ბეჭდითი სიტყვის პროექტი.

მილიუკოვი. პრესის მდგომარეობა ადმინისტრაციის პრაქტიკის მეოხებით აუტანელია. მოლაპარაკეს აუარებელი ფაქტები მოჰყავს იმისა, თუ რა გვარ დევნასაც განიცდის პრესა. რედაქტორებს აპატიმრებენ და ასახლებენ. გასულ წლის განმავლობაში გაზეთების ჯარიმები 100.000 მანეთს აწევს. განახლებულ წესწყობილების დროს, ექვსი წლის განმავლობაში პრესამ ნახევარი მილიონი მანეთი ჯარიმა გადაიხადა. პრესასთან ბრძოლაში, ადგილობრივი ადმინისტრატორები ჰკეტავენ სტამბებს, საცა არასასურველი გაზეთები იბეჭდება. მილიუკოვი აგონებს სათათბიროს სენატის განმარტებას, რომლის ძალითაც სათათბიროს სხდომების ანგარიშები მთლიანად უნდა დაიბეჭდოს, რაიმე ცვლილების შეტანა სიტყვაში რედაქტორების პასუხის-მგებლობას იწვევს. თუ სათათბიროს ჰსურს, რომ პრესა ფხიზელ დარაჯად იდგეს ქვეყნის ინტერესებისა და იყოს უსამართლობის გამომჟღავნების იარაღად, სათათბირომ ერთხმად უნდა დაადგინოს ამ საკანონმდებლო მოსაზრების დაუყონებლივი მიღება (მარცხნივ ტაში)

კრუპენსკი. ყველასთვის ცხადია, რომ პრესა ნორმალურ პირობებში არ იმყოფება და ამისათვის საჭიროა მოსაზრება კომისიას გადაეცეს. კერძო ფაქტების მოყვანა საჭირო არ არის, რადგანაც დრო იკარგება და ყოველ წუთში ხალხი 105 მანეთს იხდისო.

დიმშა. პოლონელთა კოლო სასურველად სცნობს საკანონმდებლო მოსაზრების მიღებას.

ხმის დიდი უმეტესობით სათათბირომ საკანონმდებლო მოსაზრების მიღება სასურველად სცნო.

თავმჯდომარე კითხულობს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი განცხადებას, რომ მთავრობა მუშაობს ბეჭვდითი სიტყვის პროექტზე და შემუშავებისას სათათბიროს წარუდგენსო.

სათათბირომ ერთხმად დაადგინა გადასცეს ცალკე კომისიას მიღებული მოსაზრება შესამუშავებლად.

სათათბირო მსჯელობს, სასურველია თუ არა კადეტების მოსაზრება სინიდისის თავისუფლებაზე.

თავმჯდომარემ სათათბიროს ამცნო თათბირის გადაწყვეტილება, რომელმაც ეს მოსაზრება განიხილა, გადაეცეს კომისიას განსახილველად. ამასთანავე წაიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგის განცხადება, რომ თუ ვინიცობაა სათათბირომ სასურველად სცნო მოსაზრება, მთავრობა კისრულობს შეიმუშაოს პროექტი, თანახმად 17 აპრილის უკაზის და 17 ოქტომბრის მანიფესტისა.

მილიუკოვი. მილიუკოვის ლაპარაკის დროს მემარჯვენეებმა ასტეხეს ხმაურობა. კადეტები წინააღმდეგნი არ არიან მოსაზრების კომისიაში გადაცემისა. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება არ ეთანხმება ობერ-პროკურორის განცხადებას, რომლის აზრითაც სათათბიროს არა აქვს უფლება ამგვარ მოსაზრების შეტანისაო. არსებითი შინაარსი მოსაზრებისა მთავრობის კანონ-პროექტები შეიცავენ, რომელიც მეორე და მესამე სათათბიროში იყო შეტანილი. მაშასადამე, კადეტებს უფლება აქვს მოსაზრების კომისიაში გადაცემა მოსთხოვს სათათბიროს (მარცხნივ ტაში).

სკობელევი მილიუკოვის აზრს ეთანხმება.

ჟილინი მეორე კანონ-პროექტის წინააღმდეგია, რადგანაც იგი სარწმუნოების გაერთიანებას შეიცავს. ძირითადი კანონების თანახმად რუსეთის იმპერიაში უპირატესობა მართლმადიდებელ სარწმუნოებას ეძლევაო (ტაში მარჯვნივ).

სათათბირომ დაადგინა, მოსაზრება კომისიას გადასცეს.

სათათბირო იხილავს კადეტების კანონ-პროექტს, სასურველია თუ არა კავშირის თავისუფლების პროექტიო. წაიკითხეს 30 წევრის განცხადება, გადაეცეს ეს მოსაზრება სამოსამართლო კომისიასო. ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს შჩეპკინი.

შჩეპკინმა მიჰმართა მემარჯვენეებს სიტყვებით: „თქვენის ქცევით ნუ ამტკიცებთ ნაძირალებთან საბრძოლველ კანონების გამოცემის საჭიროებას“. მემარჯვენეებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. ისმის ყვირილი „ძირს, გაეთრიე“!

თავმჯდომარე რამდენჯერმე შეეცადა ეთქვა რამე, მაგრამ ყვირილი უშლიდა ხელს. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, **თავმჯდომარემ** სთქვა, რომ შჩეპკინის სიტყვები შეუწყნარებელიაო. თუ კვლავ გაიმეორებს მოლაპარაკე ამის მსგავს სიტყვებს, თავმჯდომარე სასტიკ ზომებს მიჰმართავსო. ეხლა შჩეპკინს წესიერებისაკენ მოუწოდებს. მარჯვნივ კვლავ ხმაურობა ასტყდა „გაეთრიე“. ისმის ყვირილი.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ არ შეიძლება ძალადობის გზით ხელი შეუშალოთ სხდომის წესიერ მიმდინარეობასო.

ხმაურობა თანდათან მიყუჩდა.

შჩეპკინი. საჭიროა ახალი კანონის შემუშავება. 4 მარტის კანონი არამც თუ არა ჰყოფს უზრუნველად აკავშირებს, არამედ ხელს უწყობს უკანონო კავშირების განვითარებას. კულტურული კავშირები კი დევნილია. კამათი შემდეგისათვის გადაიდო.

შემდეგი სხდომა 15 თებერვალს.

ქართული პრესა

„მერცხალი“ ვარშავის არჩევნებს ეხება და პოლონეთის ნაციონალისტებისა და ებრაელების ურთიერთობას არკვევს. როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეცოდინებათ, ვარშავის ებრაელებმა, რომელთაც იმდენი ძალა არა ჰქონდათ, რომ თავისი საკუთარი კანდიდატი გაეყვანათ, მხარი დაუჭირეს სოციალისტებს და ამით უზრუნველ-ჰყვეს ავტონომისტ იაგელლოს კანდიდატურა. აი სწორედ ამ ფაქტს ეხება გაზეთი „მერცხალი“ და დასასრულ სწერს:

„ჩვენი ნაციონალისტებისაგან ხშირად გაიგონებთ—ჩვენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ არაფერი გვექნება, რომ ისინი ავტონომიის თხოულობდნენო. ეს რომ მართალი არ არის—ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს პოლონეთის შოვინისტების საქციელი“.

თურმე ნუ იტყვით, ჩვენს სიმტყუნეს პოლონეთის ნაციონალისტების საქციელი ამტკიცებს! რანაირი საშუალ ბით შეიძლება **სხვის** უღირსმა საქციელმა **ჩემი** ავ-კარგიანობა დაამტკიცოს, ეს ალლახმა უწყის. კაუცკი შეიძლება ჰკვიანი კაცი იყოს, მაგრამ განა ამით „მერცხლის“ პუბლიცისტიბიც ჰკვიანებად იქცევიან? ან „მერცხლის“ უჭკუობა კაუცკისაც უჭკუოდ გახდის? ძალიან საეჭვოა. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, „მერცხალი“ გვერდს რად უხვევს ერთ ფრიად საყურადღებო მოვლენას? იაგელლო ავტონომისტია. ებრაელებმა პოლონეთიდან მაინც პოლონეთის ავტონომიის მომხრე დეპუტატი გაგზავნეს. აქ კი, ჩვენში, სომხის ბურჟუაზიამ საქართველოს ავტონომიის დაუძინებელი მტერი ჩხეიძე გაგზავნეს. ასე რომ, ანალოგია ვერ მოგივიდათ კარგი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა **ვლადიმერ მესხიშვილს** ოცდა-ათის წლის სამოღვაწეო იუბილეს აღსანიშნავათ 200 მანეთი გაუგზავნა.

◆ **სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოსაცდელად,** როგორც ვწერდით, მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა ფული გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამის გამო 12 თებერვალს საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა, რომელმაც დაადგინა, დაავალოს საგანგებო კომისიას, შეიმუშაოს გეგმა და წესები იარაღების გამოცდისა. კომისიის წევრებად აირჩიეს: ტიმოფეევი, ფირალოვი, თ-დი ამირაჯიბი, ყაზახიშვილი, ვ. რცხილაძე, ფირუმოვი, ათანასიანი და ქალანთარი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** გამგეობა ამ ჟამად საჩქაროდ ადგენს საზოგადოების წარსულ წლის მოქმედების ანგარიშს. საზოგადოების წევრთა წლიური კრება ანგარიშის შედგენის შემდეგ იქნება მოწვეული.

◆ **გ. დ. ჟურული,** რომელიც ამას წინად ქალაქის გამგეობის წევრად აირჩიეს, უკვე დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

◆ **ქალაქის 1913 წლის დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა** ქალაქის გამგეობამ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსაგან მხოლოდ გუშინ მიიღო.

◆ 21 თებერვალს, რომანოვთა გვარეულობის მეფობის 300 წლის დღესასწაულისა გამო, ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის** კანტორაში მუშაობა იქნება მხოლოდ ორი საათს, დილის 8—10 საათამდე.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულების პირით სახლის პატრონთ გამოუცხადა, რათა **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეს** დღეს, 21 თებერვალს, სახლებზე ბაირაღები ჩამოჰკიდონ, ხოლო საღამოთი გააჩირაღდნონ.

◆ **ტრამვაის დირექციას** ქალაქის გამგეობამ გუშინ წინადადება მისცა, ნიკოლოოზის ჰუჩაზე კვლავ დაგოს ლიანდაგი, რომელიც იქ დაწყებულ მუშაობის გამო აჰყარეს და ტრამვაის ვაგონების მოძრაობა ერთს კვირაში აღადგინოს.

◆ **რედაქციამ მიიღო** ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ გამოცემულ **ქართულ სცენის მოღვაწეთა ჯგუფის სურათი.** სურათში მოთავსებულია: ვლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. საფაროვ-აბაშიძისა, კ. მესხი, ვალ. გუნია, ბაბო ავალიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ეფემია მესხი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ვიქტ. გამყრელიძე, დათ. აწყურელი, გედ. გედევანოვი, კ. შათირიშვილი, ვალ. შალიკაშვილი, მ. ქორელი, მ. მდივანი, ო. ლეჟავა, ს. სვიმონიძე, დ. ჩარკვიანი, ნ. ჩხეიძე, ტ. აბაშიძე, ი. ზარდალიშვილი, ალ. იმედაშვილი, ნ. გამყრელიძე, ზ. საფაროვი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, დ. ივანიძისა, ნ. გალუსტოვი, ვ. ბალანჩივაძე, ნ. ჯავახიშვილი, გ. იშხნელი, შ. დადიანი, გ. კანდელაკი, ი. ივანიძე, ბ. ზეგლარიძე, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ქიქოძე, ნ. გვარაძე, დ. მგალობლიშვილი, თ. გოგოლაშვილი, დ. აბდუშელი, კ. ციციშვილი, ა. შოთაძე, ზ. ბერიშვილი, ა. ლოლუა, ი. ჟღვიძე, ვ. მატარაძე, გ. იორდანიშვილი. სურათი ღირს ათ შაურად და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

◆ გუშინ ხოჯივანქის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფ გენ.-მაიორ ა. ი. **ბებუთოვის გვამი.** დასაფლავებას დაესწრნენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი და მრავალი პატივისმცემელი განსვენებულის ხსოვნისა.

◆ **სასანიტარო რვეულები,** რომელიც ქალაქის გამგეობამ დააწესა მცხოვრებთათვის, უკვე დაიბეჭდა. რვეულების ყიდვა და მით ხელმძღვანელობა სავალდებულოა ყველა სახლის პატრონისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეთათვის. რვეული ღირს 15 კ. უნდა შეიძინონ 1 მარტამდე.

◆ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოს** მოწყობის თაობაზე, 13 თებერვალს კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას. კრებამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა საგანგებო პავილიონისა, სარძეო, სადოსტაქრო და სხვა განყოფილებებისა დამატებით შენობებისა. მთელი ხარჯთ-აღრიცხვა ივარაუდა 41,500 მან. ამის შემდეგ დაადგინა, მიმართოს ფირმებს, რომელთაც სამუშაოს აღება სურთ, თავის პირობანი წარადგინოს.

◆ **ხეხილის სანერგე.** რომელიც ქალაქის თვითმმართველობას გაშენებული აქვს ხუდადოვისეულ აგარაკში, იმდენად მოღონიერდა, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მომავალ შემოდგომიდან ამ სანერგედან ხეხილის გაყიდვას შეუდგეს.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ავჭალაში, საქალაქო მიწაზე, **სადეკორაციო მცენარეთა სანერგე** გააშენოს. წინასწარი მუშაობა უკვე დაიწყო.

◆ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეში** მონაწილეობის მისაღებად გუშინ ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელნი: მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი და ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორი დრბოგლავი.

◆ **ქალაქის გამშვენიერება.** ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ წელს შედგენილ იქმნეს გენერალური პროექტი ქალაქის გამშვენიერებისა იმ ადგილების ჩამოთვლით, სადაც ადრე თუ გვიან ხეხილები, თუ პარკები და ბაღები უნდა გაშენდეს. პროექტში უნდა იყოს ნაჩვენები, პირველად სად და როგორ უნდა იქმნეს დაწყებული საქმე. ამის თაობაზე იმ კვირია კრება ექნება სატყეო-საბაღოსნო კომისიას.

◆ წელს 25 წლისთავი შესრულდა, რაც **ტფ. საარტისტო საზოგადოება** არსებობს. იუბილე გადაიხადეს 13 თებერვალს: გამართეს კაბარე და დივერტისმენტი, რასაც მოჰყვა სამხანაგო ვახშამი.

◆ **საბირჟო ცნობები.** 14 თებერვალს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 50 კ., აძლევენ—85 მან.; ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მან. 75 კ., აძლევენ—82 მან. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ 78 მან. აძლევენ—77 მან. 50 კ.

◆ 13 თებერვალს, 60 წლის მარიამ თევდორეს ასულმა შანშიაშვილისამ ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა. მიზეზი უმწეო ნივთიერი მდგომარეობა ყოფილა. იგი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მორჩენის იმედი აქვთ.

◆ 13 თებერვალს, ტფილისის ტრამვაის პარკში, ცხინვალის მცხოვრები (პოლიციის ცნობაში გვარი არ არის მოხსენებული), ვაგონის (№ 101) სახურავზე მუშაობდა და მარცხენა ხელის სამი თითი ჩარაკში მოჰყოლა. ერთი თითი სულ მოსწყვიტა, ორი ძალიან დაუშავდა. იგი წაიყვანეს რკინის გზის საავადმყოფოში სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

◆ 13 თებერვალს პოლიციის მე-3 უბანში 9 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების გამო.** კრება 14 ივნისს დაიწყება და 24 გათავდება. კრებაში მონაწილეობის სურვილი დღემდე მრავალმა ექიმმა, ბუნების-მეტყველმა და პროფესორმა განუცხადა და კრების საორგანიზაციო კომიტეტს მოხსენებანი გამოუგზავნა. ახლა ირკვევა, რომ კრების მონაწილეთათვის საკმარისი არ არი

„საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვა“

შედგენილი მღვდელმთავრის **დაულინგის** (Dowling) მიერ. ლონდონი, 1912 წ., ფასი 2½ შილინგი (ექვსი აბაზი).

1912 წელს უკვე მეორე წიგნი გამოვიდა საბეჭდავიდინ ინგლისურად საქართველოს შესახებ. განსვენებულ მარჯორი უორდროპის ასულის მიერ ნათარგმნ „ვეფხის-ტყაოსანს“ მოჰყვა ზევით ამოწერილ სათაურის წიგნი. მისი ავტორი ანგლიკანურ ეკლესიის მღვდელ-მთავარია, პალესტინაში მსახურობს წ. ლუკას მისიაში და აღმოსავლეთის საქრისტიანო ეკლესიებთან დაახლოვებულ პირად ითვლება.

ამ წიგნის შესადგენად პატივცემული ავტორი დაჰყარებია მხოლოდ იმ წყაროებს, რაც ინგლისურად დაბეჭდილა ჩვენის ეკლესიის შესახებ. და გულმტკივნეულად უნდა ვაღიაროთ, რომ ფრიად მწირი მასალა აღმოჩენილა მისს განკარგულებაში. უმთავრესად უხელმძღვანელნია პლატონ იოსელიანის მიერ რუსულად შედგენილ „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“-თი, რომელიც ინგლისურად უთარგმნია ეპისკოპოსს მალანს (Malan) და რომელშიაც ავტორი (იოსელიანი) ამბობს: „დღემდე საქართველოს არც კი ჰქონია თვისის ეკლესიის ისტორიაო“. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პატივცემულ დაულინგს ქართველი ისტორიკოსი რუსი ჰგონია. ალბად იმიტომ, რომ მისი თხზულება რუსულად იყო დაწერილი. შეიძლება იმ ხანებში (1835 წ.), როცა ჩვენი საეკლესიო მწერლობა ღარიბი იყო, იოსელიანის შრომას რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა. მაგრამ თითქმის მთელ საუკუნეს შემდეგ იმისი მკვდრეთით აღდგენა და უმთავრესად იმაზე დამყარება მხოლოდ ავტორის გაჭირვებულ მდგომარეობით თუ-და აიხსნება. თუ ქართულად და რუსულად დაწერილნი ნაშრომნი: დ. ბაქრაძისა, პროფესორ ალ. ხახანაშვილისა, თ. ჟორდანიასი, მოსე ჯანაშვილისა, ექ. თაყაიშვილისა, პროფესორის ივ. ჯავახიშვილისა, ჩვენის მეცნიერ მღვდელ-მთავრის და ეკლესიოლოგის კირიონისა მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, განსვენებულ მიხ. თამარაშვილის დიდი შრომა „საქართველოს საეკლესიო ისტორია“ ხომ ფრანგულად დაიბეჭდა!? გაუგებარია, როგორ გამორჩა ეს შრომა პატივცემულ დაულინგს, რომ სჩივის თავისს წიგნში,—საქართველოში კათოლიკოზის შესახებ წყაროები ვერ ვიპოვეო, აბა სწორედ კათოლიკოზის შესახებ იპოვიდა უხვ მასალას განსვენებულ თამარაშვილის თხზულებაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატივცემული ავტორი შემდეგს გამოცემას შეავსებს თამარაშვილის ნაშრომიდან.

კიდევ კარგი, რომ ავტორს მიჰშველებია ჩვენის ქვეყნის და ენის ღრმა მცოდნე ოლივერ უორდროპის წიგნი „საქართველოს სამეფო“, 1888 წ. გამოცემული ინგლისურად. ბ. უორდროპის შრომა რომ არა ყოფილიყო, დაულინგის თხზულებას ერთიორად დააკლდებოდა ღირსება.

წიგნი 16⁰ ზომისაა, შეიცავს 137 გვერდს, რომელთაგან 32 გვერდი სხვა და სხვა წინასიტყვაობას უჭირავს. მეტად სუფთად გამოცემულიცაა.

სულ თავში მოქცეულია მშვენიერი ნამუშავარი სურათი თამარ მეფისა, უორდროპის წიგნიდან ამოღებული. სურათს მისდევს ილ. ჭავჭავაძის ლექსი, რომელიც ასე იწყება:

„ოჰ, საქართველო, მთელის ქვეყნის თვალო და მშვენებავ, რავდენი ტანჯვა გინახავს ქრისტე სჯულისათვის“...*)

ამ ლექსს მიჰყვება სამი შესავალი. პირველი (რვა გვერდიანი) ეკუთვნის უსახელო ავტორს—წევრს შოტლანდიის საგეოგრაფიო საზოგადოებისას, რომელსაც (ავტორს), როგორც თვით დიულინგის წინასიტყვაობიდან დავინახავთ, დიდად უშრომნია ამ წიგნის შევსება-შემუშავებისათვის. ავტორი წინასიტყვაობისა სინანულს გამოსთქვამს, რომ ევროპა დღესაც ვერ იცნობს საქართველოს, რომელიც რა მხრითაც გნებავთ, აიღოთ—მწერლობისა, ისტორიისა, ეტნოგრაფიისა თუ სარწმუნოებრივისა—ყველა მხრივ ღირსია შესწავლისა და გაცნობისაო. ამ ასის წლის წინად პრუსიის მეფემ დიდმა ფრიდრიხმა, განათლებულ ქვეყნების ჩამოთვლა რომ უნდოდა, თავისი თავი ამ პატარა, გარნა გულად, ქვეყნის მეფეს დაუტოლა: „ევროპაში—მე და აზიაში კი უძლეველი ერეკლე, საქართველოს მეფე“ (Moi en Europe et en Asie l'invincible Hercules, roi de Géorgie).

ამ სიტყვების შემდეგ წინასიტყვაობის ავტორი სცდილობს მოკლედ გააცნოს მკითხველს, თუ როგორ მოესწრო ერეკლე სიცოცხლეშივე იმის ნახვას, რომ მისი სამეფო რუსის ხელში გადასულიყო. რუსეთის პროვინციად გადაქცეული მხარე მოკლებულია დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ უფლებას. აღწერილია საქართველოს მიერ გაწეული ბრძოლა რჯულისთვის, ქრისტეს სახელის მტერთა შემოსევა საქართველოში. რამდენიმე სიტყვით აღნიშნულია საქართველოს სამეფოს დაარსება, მისი გაძლიერება, ოქროს ხანა, ქრისტიანობის გავრცელება, მწერლობის აღყვავება, პალესტინაში მონასტრების დაარსება, და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად ამ მონასტრების გაქრობაცა...

დასასრულ, ავტორი, ცოტა არ იყოს, საყვედურის კილოთი მიჰმართავს ინგლისის საზოგადოებას, რომ ასე ნაკლებ იცნობს საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, მისს ლიტერატურასაო. საყვედურის ღირსი ოლონდაც რომ არის ინგლისელი საზოგადოება მით უფრო, რომ ამ ქვეყნის (საქართველოს) გასაცნობათ მასალა უკვე საკმაოდ მოგვიპოვებაო. ჯერ კიდევ 25 წლის წინად ბ-ნმა ოლივერ უორდროპმა (ბ-ნი უორდროპი მილანის შემდეგ მეორე ინგლისელად ითვლება, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა) თვისს საინტერესო წიგნში „საქართველოს სამეფო“-ში მოათავსა ვრცელი ბიბლიოგრაფია. ამ ბიბლიოგრაფიაში მოექცა 325 ტომი სხვა და სხვა ენებზე (უმეტეს წილათ ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად; უფრო ნაკლებ ლათინურად და იტალიურად) დაბეჭდილ თხზულებათა. ამათს რიცხვში არ შედის რუსულად, ქართულად და ოსმალურად დაწერილი წიგნები, რომელნიც ასე ადვილად ხელმისაწვდომნი არ არიან და რომელთა რიცხვი ამ უკანასკნელ დროში ფრიად გაიზარდა.

ხსენებულ თხზულებათა ნახევარი მოგზაურობას და გეოგრაფიას ეხება; ერთი მეოთხედი ისტორიას, დანარჩენნი ენათმეცნიერებასა და ლიტერატურას. რაც შეეხება სარწმუნოებასა და ეკლესიას, ეს მწერლობა უცხოელს, თვინიერ აქა-იქ გაბნეულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობათა, საფუძვლიანს არასფერს აძლევს, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ თარგმანს რუსულიდან.

და აი ავტორსაც (საქართველოს საეკლესიო ისტორიის მიმოხილვისას) —ათავებს წინასიტყვაობის ავტორი,—ასეთს პირობებში მოუხდა ამ წიგნაკის შედგენა; იძულებული იყო ხან საიდან და ხან საიდან ამოეკრიფა მწირი ცნობები თვისის წიგნის შესადგენად.

მეორე წინასიტყვაობა კი (წიგნის XVII—XVIII გვ. გვ.) ეკუთვნის იერუსალიმის საპატრიარქოს (ბერძნების) უწმიდეს სინოდის მდივანს. ამ წინასიტყვაობას კი უკლებლივ გავაცნობთ მკითხველს, მით უფრო, რომ მისი ავტორი ბერძენია, შვილი იმ ტომისა, რომელთანაც ქართველების ბერებს როგორც სინას მთაზე, ისე ათონზე ხან მეგობრული და ხანაც მეტი გამწვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ (და, სამწუხაროდ, დღესაცა აქვთ), მონასტრების და საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული.

„მეტად საინტერესოა წაკითხვა წიგნისა იმ საგნის შესახებ, რომელსაც ზოგიერთნი-ღა თუ იცნობენ,—ასე იწყება ეს მეორე წინასიტყვაობა.—საქართველოს ეკლესია არ ყოფილა, როგორც დღესაც არ არის, სავსებით შესწავლული და მსწავლულნიც კინაღა თუ იცნობენ მის ისტორიას. და რადგან ამ წიგნის პირდაპირი დანიშნულებაა—გაგვაცნოს წარსული ამ ეკლესიისა, მისს გამოსვლას ყველანი სიამოვნებით უნდა მიეგებნენ.

რა თქმა უნდა, ავტორს არ უთქვამს ყველაფერი, რის თქმაც კი შეიძლებოდა ამ საგნის შესახებ, მხოლოდ შეეცადა მოკლედ მოეთხროს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ამბავი. ეს მას ემარჯვება კიდევაც, რადგან საკმაოდ დიდი

---

*) სამწუხაროდ, ეს ლექსი ზეპირად ვერ მოვიგონეთ და ინგლისურ თარგმანიდან ვსთარგმნეთ.

ტფ. სასტუმროები, სადაც სულ მხოლოდ 500 თავისუფალ ნომრის შოვნა შეიძლება. ამის გამო კრების საადმინისტრაციო-სამეურნეო ბიურო, რომლის თავმჯდომარედაც გ. დ. ჟურულია, წინდაწინვე ღონის-ძიებას იღებს, რათა კრების მონაწილეთათვის ბინები შეიგულოს: მიმართა ტფ. სახლის პატრონებს, აცნობონ ბიუროს, რამდენი ოთახის დათმობა შეუძლიათ და რა ფასად. სახლის პატრონთაგან ბიუროს უკვე პასუხები მისდის. ამას გარდა ბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ეგზარხოსის წინაშე, რათა კრების მონაწილეთათვის ბიუროს დაუთმოს სასულიერო სემინარიის ძველი შენობა. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა იმ სასწავლებლების დირექტორების წინაშე, სადაც პანსიონებია. ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ივნისში ტფილისში მოსულ სხვა და სხვა ექსკურსანტს დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდება ბინის შოვნაში. ამის გამო ბიურომ დაადგინა, გაზეთების საშუალებით გააფრთხილოს ექსკურსანტები.

◆ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა, მიმართოს ლექტორებს, რათა ყველიერის კვირაში სახალხო სახლსა, „ნაძალადევი"-ს თეატრსა, ავჭალის აუდიტორიასა, ავლაბრის თეატრსა და სხვაგან საზოგადოების სასარგებლოდ უსასყიდლოდ ლექციები წაიკითხონ. ამას გარდა დაადგინა, საგანგებო ფურცლით მადლობა გადაუხადოს ზარიჩნის დასის მსახიობთ, რომელთაც უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღეს გამგეობის მიერ გამართულ სალიტერატურო დილაში გონჩაროვის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ **ქართ. სასოფ.-სამეურნ. საზოგადოებაში.** 13 თებერ. საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა. კრებამ განიხილა საკითხი: როგორ შეუდგეს მუშაობას მაყაშვილისეულ (იყალთოში) ჭავჭავაძისეულ (მუკუზანში) მამული და დაადგინა: ჲ გაიგზავნოს ახლავე კახეთში გ. ნახუცრიშვილი, მოწვეულ იქმნეს მუკუზნის მამულისათვის ერთი დახელოვნებული მუშა, გამოერთვას, როცა დრო იქნება, შეკვეთილი დასარგავი მასალა კონდილის სანერგეს, მანამდე გადაიშალოს ორპირად 400 ოთხკ. საჟენი მიწა იყალთოში და ამდენივე მუკუზანში და ჩაიყაროს „შკოლა" სანერგესა და სანამყენეს გასაშენებლად და მიეცეს საზოგადოდ დასაწყისი იმ კულტურულ სამუშაოს, რომელიც უნდა შესრულდეს ამ შეძენილ მამულებში. გარდა მორიგ საამდროვო სამუშაოსი ინტრუქტორს დაევალოს აგრეთვე, შეიმუშაოს საზოგადო გეგმა იმისა, სად ჲ რომელ კულტურას რამდენი ნაჭერი მიწა უნდა მოჰყვეს ქვეშ ორივე მამულში, რათა წინდაწინვე გამოირკვეს, რა სახე უნდა მიიღოს ხსენებულმა ადგილებმა და შესაძლებელი გახდეს, თან-და-თან ნაწილ ნაწილად სრულდებოდეს განზრახული სამუშაო. თუ აღმოჩნდა, რომ იყალთოს მამულის მოსავლელად და დასამუშავებლად დღესვე საჭიროა საკუთარ კაცის დაქირავება, მიეცეს უფლება გ. ნახუცრიშვილს დაიგულოს ორი კაცი ორივე მამულისათვის და შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვაც წარმოადგინოს. საზოგადოების საბჭოს შემდეგი კრება ორშაბათს 18 თებერვლისთვის დაინიშნა. საზოგადოების საბჭომ დაადგინა, 25 მარტს საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოიწვიოს. კრებამ უნდა მოისმინოს საბჭოს წევრთა მოხსენებანი და აირჩიოს საბჭოს ახალი წევრები.

◆ კვირას, 17 თებერვალს, ნაშუადღის 12 საათზე ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგება **ტფილისის სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა საზოგადო კრება,** რომელზედაც მოხსენებული იქნება გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება თბილისის სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა საზოგადო კლუბისა. მსურველთ აქვე შეუძლიათ წევრად ჩაწერა.

◆ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** გამგეობის და საბჭოს წევრთა შეერთებული კრება 17 თებერვალს, დილის 10 საათზე, მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. კრება განიხილავს საკითხს: რა ტიპის საზოგადო სახლების აგება უფრო საჭიროა.

სასამართლო

◆ **„წითელი ოთახი".** 13 თებერვალს ჟურნალისტს ლევან ყიფიანს საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს „წითელ ოთახის" შესახებ „ლისტოკ-კავკაზში" წერილების დაბეჭდვისათვის. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-1034 მუხლის ძალით. სასამართლოში ამ საქმის გამო 35 მოწმეა გაწვეული. საბრალმდებლო ოქმი შეიცავს თაბახიან ქაღალდის 32 დაბეჭდილ გვერდს. ამავ დღეს ლ. ყიფიანს ჩააბარეს ორი სხვა ოქმი „კავ. რეჩში" დაბეჭდილ წერილისათვის „მშვიდი და წყნარი ცხოვრება", რომლის გამოც სამართალში მიცემულია „ზაკ. რ."-ის რედაქტორი დ. მ. ღუმბაძეც. მომჩივნები არიან რკინის გზის სასწავლებლის მასწავლებელნი შესტაკოვი და გაბუნია.

შეცდომის გასწორება.

კვირის ნომერში, დ. კ—ძის წერილში კლ. მესხიშვილის მოკლე ბიოგრაფიაში მესამე გვერდზე შეცდომით არის დაბეჭდილი: „გამოჩენილმა **მომღერლებმა** ილია ჭავჭავაძემ, თუმანიშვილმა და ბებუთოვმაო". უნდა იყოს: **„მოღვაწეებმა"**.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეზე

მიღებული მისალოცი დეპეშები:

(დასასრული *)

დონის-როსტოვი: გადასახლებულ ქართველთაგან; **დონის-როსტოვი:** ელიაძესაგან, **ყარსი:** რკინის გზაზე მოსამსახურე ქართველთა მონდობილობით ტატიშვილისაგან, **ტფილისი:** მსახიობ აბელიანისაგან, მსახიობ არუთუნიანისაგან, მსახიობ მაისურიანცისაგან, **ბაქო:** მიშა ქუთათელაძისაგან, **გურჯაანი:** საზოგადოებისაგან, **კიევი:** კავკასიის სათვისტომოს გამგეობისაგან, **ქუთაისი:** ქართულ გიმნაზიის მოწაფეთაგან, **ცხინვალი:** ახალგაზრდობის სახელით კასრაძისაგან, **მოსკოვი:** ქართველ საზოგადოების გამგეობისაგან, **სოხუმი:** ქართულ სკოლის სახელით ჯანაშიასაგან, **პეტერბურგი:** ჭიაბრიშვილისაგან, **მოსკოვი:** საკომერციო ინსტიტ. არსებულ აკაკის სახელობის წრისაგან, **ქუთაისი:** ანტონ ფურცელაძისაგან, **იურიევი:** კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოებისაგან, **განჯა:** ქართველ საზოგადოებისაგან, **სოხუმი:** წ.-კ. გ. საზ. სახელით კნა ანჩაბაძისაგან, **დიდჯიხაიში:** ექიმ ლოსაბერიძისაგან, **წესი:** საზოგადოებისაგან, **ხონი:** წ.-კ. გამ. საზ. გამგეობისაგან, **ქუთაისი:** წ.-კ. გ. საზ. გამგეობისაგან, **ქუთაისი:** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისაგან, **დიდჯიხაიში:** პატივისმცემელთაგან, **კიევი:** უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობისაგან, **ბაქო:** ლასხიშვილისა, აგლაძისა და სხვათაგან, **ბაქო:** წ.-კ. ს. დრამატიულ სექციისაგან, **ქუთაისი:** მარგარიტა ქილარჯიშვილისაგან, **ქუთაისი:** ქალთა საზოგადოებისაგან, **ქუთაისი:** სამკურნალო საზოგადოების მონდობილებით თავმჯდომარე ხეჩინოვისაგან, **ნუხა:** ქართველთა ჯგუფის მონდობილებით ნათაძისაგან, **ბლაგოვეშჩენსკი:** ქართველთა საზოგადოების გამგეობისაგან, **ტფილისი:** ელენე სოლომონის ასულ გვარამაძისაგან, **ქარდანახი:** სცენის მოყვარეთაგან, **ბორჯომი:** წ.-კ. გ. ს. განყოფილებ. გამგეობისაგან, **ქუთაისი:** სადგურის ფოსტა-ტელეგრ. მოხელეთაგან, **ქუთაისი:** სპირ. სხირელისაგან, **ლანჩხუთი:** ინტელიგენციის მონდობილებით ქლენტისაგან, **ქუთაისი:** სომეხთა საზოგადოების სახელით რაფაელოვისაგან, **პეტერბურგი:** ფსიხო-ნევროლ. ინსტიტუტთან არსებულ ქართულ ფილოლოგიის წრის სახელით ქომბურიძისაგან, **ხაშური:** ქართველ საზოგადოებისაგან, **ბორჯომი:** საზოგადო სამკურნალოსაგან, **ქუთაისი:** მარინე რუბანისაგან, **ხონი:** კიკალეიშვილისაგან, **პინსკი:** ექიმ ნიკოლოზ მოევლიშვილისაგან, **ქუთაისი:** ქალაქის აფთიაქის ფარმაცევტებისაგან, **ეკატერინოდარი:** ქართველთა მონდობილებით ყიფშიძისა და სხვათაგან, **ტფილისი:** რუს მსახიობ ანიკინისა და სხვათაგან, **ახალსენაკი:** სათავად-აზნაურო სკოლის სახელით ლორთქიფანიძისა და სხვათაგან. **ნახ ჩევანი:** გამომძიებელ გოგიაშვილისა და პროვიზორ ჟორდანიასაგან.

*) იხ. „სახ. გაზ." № 822.

სასამართლო

პოლიტიკური საქმე.

ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ, წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით 13 თებერვალს განიხილა საქმე **სოფიო სამსონიასი,** რომელიც კან. დებ. 129 მუხ. 2 ნაწილის ძალით სამართალში იყო მიცემული, ქართულ ენაზე „სოციალიზმის" დაბეჭდვისა და ხალხში გავრცელებისათვის. ამ ბროშიურაში მთავრობამ დაინახა არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დასამხობად ხალხის მოწოდება. საგანგებო საკრებულომ ქ-ნი სამსონია დამნაშავედ სცნო და 6 თვის ციხე გადაუწყვიტა. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. **კარუხოვი.**

ტფ. ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში 13 თებერვალს გაირჩა საქმე იოსებ მურადოვისა, ანასტასია მურადოვისა, ზაქარია ანიკიევისა, ნიკოლოზ კოვალენკოსი და ოგანესიანცისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ მაღაზიის გაქურდვა.

საბრალმდებლო ოქმში ნათქვამია: 1912 წლის 11 აპრილს, ოლღას ქუჩაზე მყოფ ფეხსაცმელების მაღაზიის პატრონმა თათოიანცმა შეამჩნია, რომ მაღაზიიდან მოუპარავთ 1000 მანეთის საუკეთესო საქონელი. ეჭვი ნოქარ ოგანესოვზე მიიტანეს და შეიპყრეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თათოიანცის მეგობარმა ნაძალადევში დაინახა ჯავახიშვილის ქალი, რომელიც ფეხსაცმელსა ჰყიდდა. მან იცნო თათოიანცის საქონელი და ქალს გამოკითხვა დაუწყო. ქ. ჯავახიშვილმა უპასუხა, ტუფლები მომცა ანიკიევის ცოლმაო. უკანასკნელმა კი განაცხადა, რომ ფეხსაცმლები მისმა ქმარმა იყიდა მურადაშვილისაგან, დედაჩემის სახლშიო. ამის გამო სამართალში მისცეს. მურადაშვილმა და კოვალენკომ ყველაფერი გულ-ახდით აღიარეს და ანიკიევიც მონაწილედ დაჰსახეს.

ოლქის სასამართლოში ბრალდებულთ იცავდნენ: კოვალენკოს და ოგანესიანცს ნაფ. ვექ. **გულუღლოვი,** ანიკიევს—ნაფ. ვექ. თან. **ჟორდანია,** მურადოვს დედას—ნაფ. ვექ. **ბარათაშვილი,** მურადოვს შვილს—დამცველი არა ჰყავდა.

ბრალმდებელის თანაშემწე დანაშაულს დამტკიცებულად სთვლიდა და ყველა ბრალდებულის დასჯას მოითხოვდა. დამცველები თხოულობდნენ მათ გამართლებას.

ბრალდებული მურადოვი მხოლოდ სასჯელის შემცირებას თხოულობდა.

ოლქის სასამართლომ, ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ყველა ბრალდებულს ღირსების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა: მურადოვსა და ანიკიევს თითოს 1 ნახ. წლით, კოვალენკოს—2 ნახ. წლით, და ოგანესიანცს—3 წლით. მურადოვის დედას კი ქურდობის დაფარვისათვის ყოველი ღირსების ჩამორთმევა და რვა თვით საპყრობილე.

გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობის

წევრთა წლიური კრება.

კვირას, 27 იანვარს, გურჯაანის სამკითხველოს დარბაზში წვრილ კრედიტის ინსპექტორის ვ. ლ. ვიფორსის თანდასწრებით მოხდა გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც წევრთა არა-ჩვეულებრივი რიცხვი (300 წევრამდე), გამოცხადდა. რადგანაც სამკითხველოს დარბაზმა კრებაზე გამოცხადებულ წევრთა და ცნობის მოყვარეთა რიცხვი ვერ დაიტია, ბევრს ამ უკანასკნელთაგანს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო, მთელი 4—5 საათის განმავლობაში ცის ქვეშ მოუხდათ ყოფნა.

განსახილველი საგნები იყო: 1) განხილვა ჲ დამტკიცება წარსული 1912 წლის ანგარიშისა, 2) განაწილება წარსული წლის მოგებისა, 3) ამორჩევა ორი წევრისა (გამგეობისა და საბჭოსი), 4) დამტკიცება მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, 5) მოწვევა საქმის მწარმოებლისა და სხვ.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგობის წევრი მღვდ. მ. იოსებ ახალშენიშვილი ყველა სმენად გარდაიქცა და ყველა გულის ფანცქალით ელოდნენ ანგარიშის მოსმენას.

წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში, რომლიდანაც აღმოჩნდა შემდეგი: საანგარიშო წლის დამდეგისათვის ამხანაგობას ჰყოლია 200 წევრი 7480 მან. ნდობით. 1912 წლის განმავლობაში ამხანაგობას მიუღია 205 წევრი 15310 მან. ნდობით, ყველა წევრებისათვის კრედიტი მოუმატებიათ 22420 მანეთამდე.

ამრიგად 1913 წ. 1 იანვრისათვის ამხანაგობას ჰყავს 405 წევრი 45210 მან. პირადის ნდობით.

1912 წლის 1 იანვრისათვის

ამხანაგობას ჰქონია	მან. კ.
ძირითადი თანხა . . .	2000
ბანკის ვალი . . .	3000 —
სათადარიგო თანხა (საკუთარი)	5 94
წევრებზე გასესხებული	4935
ქონება (საკ.) ღირებული	12 —
ნაღდ ფულად . . .	70 94
სულ	10,023 მ. 88 კ.

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა:	მან. კ.
შესანახად შემოტანილი	1160 —
ბანკიდან ნასესხები .	10,000 —
გაცემულ სესხის სარგებელი	1039 20
სესხი შემოუტანიათ .	11515 —
სულ	23714 20

გასავალი ყოფილა:	
შესანახად შემოტანილ ფულიდან	160 მან.
ბანკის ვალის კასტუმრება	9500 მან.
ამხანაგებზე გაცემული სესხი	12455 მან.
ქონების შესაძენი .	113 მ. 40 კ.
ვადა ზეწინ შემოტანილ სესხზე დაბრუნებული სარგებელი . . .	33 მ. 30 კ.
ბანკიდან ნასესხებ ფულის სარგ. . . .	46 მ. 56 კ.
გამგეობის წვრილმანი ხარჯი	113 მ. 43 კ.
სულ . .	22837 მ. 69 კ.

მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის ამხანაგობას დარჩენია:	
შესანახად შემოტანილი	1030 მ.
ბანკის ვალი	3500 მ.
ამხანაგებზე გასესხებული	5875 მ.
ქონება	123 მ. 40 კ.
სათადარიგო თანხა . .	5 მ. 94 კ.
ნაღდი ფული (კასაში)	977 მ. 45 კ.
1039 მ. 20 კ-დან დანახარჯ.	609 მ. 29 კ.
გამორიცხვით ხალასი მოგება	429 მ. 91 კ.
სულ . .	1941 მ. 70 კ.

გათავდა ანგარიშის კითხვა. თავმჯდომარემ დამსწრეთ [illegible] მისცა თავიანთი აზრი გამოეთქვათ წაკითხულ ანგარიშზე. მაგრამ ყველას ეტყობოდა, რომ ამხანაგობის საქმის მსვლელობა ესიამოვნათ და არც ერთს არ უნდოდა ეს სიამოვნების მყუდროება დაერღვია. ზეზე წამოდგა რამდენიმე გლეხი და დამსწრე წევრების მხრივ ჯერ-ჯერობით მადლობა გარდაუხადეს გამგეობას და საბჭოს. ბოლოს საერთო სიჩუმე დაირღვა და ერთხმად მოისმა: „დიდი მადლობელი ვართ".

საერთო კრებამ წარსული წლის ანგარიში ერთხმად დაამტკიცა და ხალასი მოგება 429 მან. 91 კ. ასე გაანაწილა: 1) საკუთარ ძირითად თანხის შესადგენათ 175 მ., 2) სათადარიგო თანხის გასაძლიერებლათ 84 მან. 6 კაპ. და დანარჩენ 160 მ. 85 კ. შესახებ სურვილი გამოსთქვა გამგეობაში მშრომელ წევრების ჯილდოთ მიცემისა. ამ უკანასკნელებმა მადლობა გარდაუხადეს საერთო კრებას, რომ მათ დააფასეს მათი მუშაობა და მათთვის გადადებული 160 მ. 85 კ. ისევ ამხანაგობის სასარგებლოთ გაანაწილეს ამ რიგათ: ა) ამხანაგობის საკუთარ შენობის ასაგებ ფონდის შესადგენათ 100 მან., ბ) საშუამავლო ოპერაციების შემოსალებ თანხის შესადგენად 50 მან., გ) გურჯაანის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ 15 მან. და დ) 5 მ. 85 კ. ამხანაგობის წევრთა იმ შვილების დასაჯილდოებლათ, რომლებიც ადგილობრივ სკოლებში საუკეთესოდ სწავლობენ.

საერთო კრებამ მათ მადლობა გადაუხადა. საერთო კრებამ გამგეობაში სამი წევრი დასტოვა: მღვდ. გ. ციბალაშვილი, დ. ოდიშელიძე და ი. ქადაგიშვილი და მათ კანდიდატათ ამოირჩია ს. ელიზბარაშვილი. სარევიზიო კომისიაში, ანუ შემმოწმებელ საბჭოში დასტოვა ექ. დ. ჯავახიშვილი და ამოირჩია: ტ. ხაჩიძე და გ. სარაჯიშვილი, მათ კანდიდატათ ვ. წულუკიძე.

საერთო კრებამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა, რომელიც უდრის 510 მანეთს. ამ თანხიდან ორ საქმის მწარმოებელს მიეცემათ 300 მ. და ხაზინადარს 60 მან., დანარჩენი 150 მან. გამგეობის წვრილმანი ხარჯების დასაფარავად.

რომ გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობას მკვიდრი ნიადაგი ჩაეყარა, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ საქმის წარმოების სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის და საერთოდ გამგეობის მოქმედების გაფართოებისათვის 1912 წელშივე გაუდიდა წვრილ კრედიტის საქმეთა სამმართველომ მოკლე ვადიანი სესხი 51,000 მანეთამდე. გარდა ამისა კიდევ მიეცემა 5000 მან. გძელ-ვადიან სესხად და 2000 მანეთი იმ შემთხვევისთვის თუ ვინიცობაა ფულის შემნახავები ვადაზე წინ მოისურვებენ გამოტანას.

ამხანაგობა ამ წლიდან უკვე შემოიღებს საშუამავლო ოპერაციებს, რომელმაც ფრიდონოვის ფირმას

მოცდილება აქვს, როგორც აღმოსავლეთის მრავალ ეკლესიათა აღმწერს, დიდი ხანი უცხოვრია აღმოსავლეთის ქვეყნებში, იცნობს მრავალს მსწავლულ სასულიერო პირთ და სახელოვან მეცნიერთ.

გარდა ამისა, ეს წიგნი გვაჩვენებს იმასაც, რომ ავტორი მეტად ცდილა თავისი ნათქვამი ყოველივე მტკიცესა ჲ შეურყეველ საბუთებზე დაემყარებინა; მაშასადამე, მისი წიგნი სიამოვნებით იქმნება წაკითხული ისეთის მიერაც, ვისაც ეჭვი რამ აქვს აღმოსავლეთის საეკლესიო საკითხებში.

ჩვენთვის კი ყველაზე მეტად საინტერესოა ის ნაწილი წიგნისა, რომელიც ეხება **„საქართველოს ეკლესიას იერუსალიმში"**, გარნა ამ თავის შესახებ უნდა აღვიაროთ, რომ ეს კითხვა ისტორიულად ჯერ დაწვრილებით არ გამოუკვლევიათ მსწავლულთ, რადგან საჭირო მასალები ძვირობს.

რა ნაირად მოიკიდეს ფეხი ქართველებმა წმიდა ქალაქ იერუსალიმის მახლობლად, როგორ დაეპატრონნენ ბერძნების რამდენსამე მონასტერს, როდის ან როგორ მოისპო მათი ხსენება აქ და, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ბერძნების პატრიარქმა იერუსალიმში რა ღონე იღონა,—ყველა ეს კითხვები მკაფიოდ არ არის გამოკვლეული და დასაბუთებული.

ყოველ შემთხვევაში, სანამ საკმაო ნათელი მოეფინებოდეს ამ უკანასკნელ კითხვას, ჩვენს ცენტრალურს წიგნთ-საცავში აღმოვაჩინე რამდენიმე მეტად საგულისხმო წერილი პატრიარქ ხრიზანტოსისა (1707—1732). ამ წერილებიდან სჩანს, თუ რავდენად სცდილობდა ჩვენი ეკლესია გადაერჩინა ქართველები წმინდა ადგილებში მოსპობისაგან, რომელიც უკვე ზევით მოვიხსენიეთ, და რავდენად შუამდგომლობდა საქართველოს მეფეებთან და მღვდელმთავრებთან ცდა არ დაეკლოთ, რომ თავიანთ თავისათვის ეშველნათ იერუსალიმში, გარნა, სამწუხაროდ, მისი ხმა დაშთა „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა".

ჩემის ქრისტეს მიერ ძმისა და მეგობრის, მღვდელ-მთავრის დაულინგის, წიგნის შესახებ ის და უნდა ვსთქვა, რომ ეს შრომა შეეხება მეტად საყურადღებო საგანს და ეს საგანი კი, უმეტეს წილად, დღემდე წყვდიადითაა მოცული.

შეიძლება რამე შემთხვევითი შეცდომებიც იყოს ამ წიგნში (როგორც საზოგადოდ ყოველს ახალს რაშიმე არის ხოლმე), მაგრამ შემდეგს გამოცემაში მათი გასწორება ადვილად შეიძლება".

პითაგორას თემელის
იერუსალიმის პატრიარქის უწმინდესი სინოდის მდივანი.

2 იანვარი 1912 წ.
იერუსალიმი, საბერძნეთის საპატრიარქო.

მესამე წინასიტყვაობა თვით წიგნის შემდგენელის დაულინგისაა და იმასაც უმეტნაკლებოთა ვთარგმნით:

„პატივცემულს მკითხველს ვაწყუხებთ, რომ ეს მდაბიო მოკლე მიმოხილვა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა ქართველ ერის ბედისა და უბედობის ამბავი არ არის. აგრეთვე, ეს წიგნი დანიშნულია არა ღვთისმეტყველობის მკვლევართათვის, არამედ მხოლოდ ინგლიკანის სარწმუნოების მდაბიო წიგნების მკითხველთათვის.

ამ (საქართველოს) ეროვნულ ეკლესიის შესახებ ზედმიწევნითის ცნობების შოვნა ძნელია. მაგალითად, რუსი, ღვთის-მეტყველების კანდიდატი, პლატონ იოსელიანი, ავტორი 1835 წელს ტფილისში გამოცემულ წიგნისა „მოკლე ისტორია საქართველოს ეკლესიისა", რომელიც მერე სთარგმნა (ინგლისურად) და გამოსცა ყოვლად უსამღვდელოესმა, მალანმა, წინასიტყვაობაში ამბობს: „საქართველოს დღემდე არა ჰქონია თვისის ეკლესიის ისტორია". ხსენებულ წიგნით სავსებით ვისარგებლე. მხოლოდ უნდა კი ვსთქვა, რომ შიგ აღნიშნული ზოგიერთი თარიღი არ ეთანხმება ბ-ნ ოლივერ უორდროპის წიგნის „საქართველოს სამეფო"-ს თარიღებს, არ ეთანხმება აგრეთვე თარიღებს ბ-ნის ა. ჰ. კინის წერილისას საქართველოს შესახებ (Encyclopoedia Britanica, მეცხრე გამოცემა, მე-X ტომი, 1879). ამ თარიღების შესახებ კი ბ-ნი უორდროპი მხოლოდ ამას და ბრძანებს: „შესანიშნავია მხოლოდ თვისის კორექტურულ შეცდომებითო".

მკითხველს ვაფრთხილებთ, სავსებით არ უნდა ენდოს ამ წიგნში აღნიშნულ თარიღებს. სომხები და ქართველები საკვირველად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ზოგიერთ თარიღის აღნიშვნაში. ზედმიწევნილობა, განსაკუთრებით რიცხვის აღნიშვნის დროს, მახლობელ აღმოსავლეთის მცხოვრებთა დამახასიათებელი თვისება არ გახლავთ.

როცა Murray-ის „ქრისტიანობის ცხოვრებისა და მწერლობის დიქსიონერი" გამოვიდა 1911 წ., მინდოდა ამ წიგნით მესარგებლნა და მის საშუალებით თარიღები შემედარებინა და შემესწორებინა. მაგრამ იმ დროს როცა **ნესტორიანთა ეკლესიის** შესახებ ვრცელი წერილია შიგ, საქართველოს შესახებ ერთი სტრიქონიც კი არ არის.

„იბერიელთა ან ქართველთა ეკლესიის შესახებ მოკლე წერილი დაიბეჭდა ბენჰამის (Benham) საყურადღებო „სარწმუნოების დიქსიონერი"-ში (გამოცემა კასელისა და ამხ. 1891). ბენჰამი წერილის ბოლოში აღნიშნავს როგორც ფაქტს, რომელიც ნასესხებია გარდნერის „ქვეყნიერობის სარწმუნოებანი"-დან (Gardners The Faits ofthe Norld): „ერთად-ერთი წვრილმანი, რომლითაც ის (საქართველოს ეკლესია) ბერძნების ეკლესიისაგან განირჩევა, ის არის, რომ ბავშვებს 8 წლამდე არა ნათლავენ".

თუ რა მონაწილეობა მიიღეს ქართველებმა ჯვაროსნების ომში, ამას თუ იმ წყაროდან ზოგიერთი ცნობა შევკრიფე. მაგრამ ეს ცნობები იმდენათ ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს, რომ ამ წიგნის მე-XIV თავს ასეთი სათაური გავუკეთე: „ღებულობდნენ თუ არა ქართველები მონაწილეობას ჯვაროსნების ომში"?

ეს თავი უკვე დაწერილი მქონდა. ისე ოქსფორდიდან ერთმა სასულიერო პირმა შემდეგი შენიშვნა მომაწოდა: „ხელთა მაქვს ჯვაროსნების ომის შესახებ დაწერილი ორი წიგნი, სახელდობრ გ. ვ. კოქსისა და სიბელისა, მაგრამ შიგ ვერა ვპოვე რა ისეთი, რომელიც ასე თუ ისე მოწმობდეს, ვითომც ქართველებსაც მიეღოთ ამ ომებში მონაწილეობა; ქართველებს, ოდნავაც არის, საჩინო მონაწილეობა რომ მიეღოთ, ხსენებულ საისტორიო თხუზულებათა ავტორებს ეს ფაქტი არ გამოეპარებოდათ. ამიტომ შემიძლიან დავასკვნა, რომ ქართველებს ამ ომებში მონაწილეობა არ მიუღიათ".

თუ საჭირო იქმნა მეორედ გამოცემა ამ წიგნისა, უეჭველია, ამ საეჭვო კითხვასაც გამოვარკვევ.

ხელთ-ნაწერი უკვე გაგზავნილი მქონდა დასაბეჭდად, ისე ერთ ერისკაცისაგან მოულოდნელად მომივიდა ამ წიგნის ის ნაწილი, რომელიც მე-IV დამატებად მოექცა (127 გ.), ასე რომ დროც კი არა მქონდა განმეხილა მთავარი საგანი ამ კითხვისა. ბევრ სიტყვის სხვა და-სხვა გამოთქმა უცვლელათ დარჩა. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერას გზით ვერ მოვახერხე შემოვნა ქართული საგალობლები. ქართველობა სიმღერა-გალობის მოყვარული ხალხია და რჩეული კრებული მათის საეკკლესიო საგალობლებისა საინტერესო დამატებად გაუხდებოდა ამ წიგნს.

ამ მიმოხილვას რომ ვამზადებდი დასაბეჭდად, აზრად ისა მქონდა, რომ გამეფართოვებინა ჰორიზონტი ინგლიკანურ სარწმუნოების აღმსარებელთა, რომელნიც ნაკლებათ იცნობენ აღმოსავლეთის ეკკლესიის ისტორიას, მიმეპყრო მათი ყურადღება შორს-მყოფ ქრისტეს მიერ ძმათა, რომელთაც ცოტანი-ღა—და შეიძლება, სულაც არავინ—იცნობდა მანამდე. და ამ შემთხვევაში მსურს გამოვხატო ჩემი გულითადი მადლობა მისს ყოვლადუსამღვდელოესობის დოქტარ ნილის მიმართ, რომელმაც დამაინტერესა ქართველ ერის მრავალ ტანჯულ ეკკლესიის სვე-ბედითა. მარად ჟამ სახსოვარი იქმნება ის სანეტარო წუთები, მასთან რომ გავატარე Sackville College, East Grinstead-ში, ორჯელ 1852—1855 წლებ შუა. თუ რავდენად უყოყმანოთ გამოვიყენე მისი ცოდნა—აღნიშნული მექნება არა ერთ გზის ამ წიგნის შემდეგს გვერდებში.

ვიმედოვნებ, მკითხველი სულგრძელებით შემინდობს, თუ სადმე შევცდი, ან რამე გამომრჩა, განსაკუთრებით როცა გაიგებს, რომ ეს პატარა წიგნი ასურეთის ქალაქში შევადგინე, სადაც მხოლოდ 17,000 მცხოვრები ითვლება, ამათ შორის ინგლისელი ორად-ორი კაცია და სადაც წიგნთ-საცავის ხსენება არ არის და რამე წიგნისათვის ბეირუთში უნდა იაროს კაცმა (შვიდის საათის სავალი გზა გქოთ). ბევრი პირველ-ხარისხოვანი კითხვა ძალაუნებურად გამოგვრჩა (როგორც საქართველოს უძველესი წესი წირვისა) მხოლოდ იმიტომ, რომ საჭირო წიგნები ხელთ არა გვქონდა.

(შემდეგი იქნება)

თ. სახოკია.

ბიბლიოთეკა

შეუკვეთა რამოდენიმე ათასი ფუთი შაბიამანი, გოგირდი და ვაზის გასაბმელი მავთული. ეს კრება მით უფრო სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ გურჯაანის გლეხობამ უკვე შეიგნო თუ როგორ ყურადღებით უნდა მოისმინოს საზოგადოების საკეთილდღეოთ მუშაობის ვითარება და ისე გაუგებრათ არ იყვირონ, როგორც ამის მოწმები ბევრ ჩვენს სოფლებში ვხედებით ხოლმე. საერთოდ გურჯაანელებს, ამ ბოლო დროს, თავდაჭერილობა და ყოველ საზოგადო საქმეზე ჯერჯერით და დაკვირვებული მსჯელობა, არამც თუ მარტო ასეთ კრებებზე ეტყობათ, არამედ სასოფლო ყრილობაზედაც კი.

დაბოლოს კრებამ მადლობა გადაუხადა წვრილ კრედიტის ინსპექტორს ვ. ლ. ვიფორსს, რომელმაც აგრეთვე სამადლობელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ და მთელ საზოგადოებას უსურვა აყვავება.

მაშ ჩვენც ვუსურვოთ აყვავება ამ ჯერეთ ნორჩ, მაგრამ მკვიდრ ნიადაგზე დაყენებულ ამხანაგობას, რომ მას გაემართლებინოს ის, რასაც ასეთ დაწესებულებიდან გამოელის ჩვენი, თუმცა ჩამორჩენილი, მაგრამ ახლად გამოღვიძებული ერი.

ხეფინიხეველი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

„სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა“, ნაწ. 1.

დიდი ხანია, რაც ქართველი საზოგადოება და კერძოდ ქართველი სამღვდელოება ჰგრძნობდა ამ დროინდელ საკითხებთან შეთანხმებულ-შეფერადებულ ქადაგებათა კრებულის საჭიროებას. სიონის საკრებულო ტაძართან არსებულ ძმობის გამომცემელი კომისია თითქოს კიდევაც შეუდგა შარშან ამ საჭიროების დაკმაყოფილებას. მაგრამ მხოლოდ შეუდგა, დაიწყო და... ამით გაათავა თავის არსებობა.

დღეს ეს ნაკლი შეავსო ჩვენმა პატივცემულმა მღვდელ-მთავარმა დავითმა, რომელიც ამ დროებით თერგის ოლქში, ქ. პიატიგორსკშია ეპისკოპოსად. სამშობლო მხარეს მოწყვეტილი მღვდელ-მთავარი გვთხოვს, გვემუდარება მიჰხედეთ მშობელ ერის გულის თქმას, სულის კვეთებასაო— და მისი გული ჩვენ გულთან ერთად სძგერს, ჩვენის სიხარულით ჰხარობს, ჩვენი ჭირით ღონდება.

დაუბრუნდით ეროვნულ ტრადიციებს, ნუ მიეცემით ძილს, ნუ ამოიშლებით შეგნებულ ერთა არსებობის წიგნიდან, ნუ დაივიწყებთ სჯულს და ეროვნებასო,—ასეთია შინაარსი ყოვლად სამღვდელო დავითის ქადაგებათა კრებულისა.

როგორც წარწერიდან სჩანს, ავტორი მეორე წიგნსაც გვპირდება. წიგნი სუფთად არის გამოცემული, ღირს სულ ორი შაური და მთელი შემოსავალი საქველ-მოქმედოდ არის გადადებული—ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ. იყიდება წ.-კ. გ. ს. მაღაზიაში.

გ. ფ.

მუშათა შორის

რ უ ს ე თ ი.

გაფიცვა ბამბის საქსოვ ქარხანაში.

მინსკში, ერთი მუშის გულისთვის, რომელსაც ხვედრი ფული სრულიად არ მისცეს, ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

მუშათა შეპყრობა.

ექვს თებერვალს, გროზნაში ღამით ორი მუშის ბინა გაჩხრიკეს. თუმცა პოლიციამ საწინააღმდეგო ვერა აღმოაჩინა-რა, მაგრამ ორივე მუშა მაინც დააპატიმრეს.

მუშათა ამხანაგობის წინააღმდეგ გალაშქრება.

რიგის გუბერნიის მუშათა კავშირებისა და საზოგადოების სამმართველომ დაკეტა მუშათა თექვსმეტი პროფესიონალური საზოგადოება, რომელიც შეერთებული იყო „მუშათა კულტურაში“.

უმუშევრობის საშინელებანი.

უმუშევრობამ ფრიად ფართე ხასიათი მიიღო. უმუშევართა მდგომარეობა საშინელებას წარმოადგენს. ლოძში, ქუჩაზე შიმშილით გარდაიცვალა უმუშევარი ქალი პუსკოვი, 26 წლისა. 6 თებერვალს, ვარშავაში გარდაიცვალა შიმშილისაგან 45 წლის ქალი როტკოვსკი, რომელიც ქარხნიდან იყო დათხოვნილი.

გაფიცვის გამო ქარხნის დაკეტვა.

ორიოლში დაიკეტა თუჯის ქარხანა, მიზეზი მუშათა გაფიცვაა.

პალის საფართლე ქარხანა.

ამ დღეებში პეტერბურგის საფართლე ქარხანაში გამოკრული იყო განცხადება, რომ 21 თებერვალს რომანოვთა საგვარეულოობის დღესასწაულის გამო, ქარხანა დაკეტილი იქნება და ხელფასი მუშებს არ მიეცემათო. ნაცვლად ხელფასისა მუშებს ჯილდოთი დაასაჩუქრებენო. მუშებმა უკმაყოფილება გამოაცხადეს, თუ ქარხანაში ადმინისტრაცია თვითონ შეაჩერებს მუშაობას, ამით ბრალი მუშებს ედებათ და ხვედრი ფული უნდა მიიღონო, ასე ამბობდნენ მუშები. მუშებმა მოითხოვეს, ჯილდოდღიურ ხელფასს უდრიდესო.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

დეპეშები.

სახელმწიფო საბჭო.

საბჭომ აკიმოვის თავმჯდომარეობით დაამტკიცა კოსტრომის ერობის მარინის არჩევნები. საფინანსო კომისიის მოხსენებით, უკამათოდ მიიღეს 5 კანონ-პროექტი. მათ შორის 859.539 მან. დამატებითი კრედიტის გაცემა საფოსტო-სატელეგრაფო ნაწილისათვის 1912 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა. ნეიდგარტის წინადადებით საბჭომ სასურველად სცნო დაარსოს 15 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც განიხილავს სათათბიროს მიერ მიღებულ რომანოვთა საგვარეულო სადღესასწაულო დასაფარავ ფულის გაღების კანონ-პროექტს. კომისიის წევრთა არჩევა 18 თებერვლისთვის გადაიდო.

შემდეგი სხდომა 15 თებერვალს მოხდება.

სათათბიროს 172 წევრმა, პროგრესისტებმა და კადეტებმა შეიტანეს საკანონმდებლო მოსაზრება, გავრცელდეს სახალხო სკოლის მასწავლებლებზე ხუთ წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მიმატების უფლება. ეს მოსაზრება რომანოვთა საგვარეულო დღესასწაულის აღსანიშნავად არის შეტანილი.

ბალკანეთის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

13 თებერვალი.

სტამბოლი. ბულგარები ადრიანოპოლის გარშემო მთელ ძალებს ჰკრეფენ. დღე-დღეზე აპირებენ ადრიანოპოლის იერიშით აღებას. ადრიანოპოლის კომენდატი აცხადებს, რომ უცხოელნი ნეიტრალიურ ფარგალში იმყოფებიანო. იქ თეთრი დროშა იფრიალებს. კომენდანტი პასუხის მგებლობას იხდის, თუ ნეიტრალიტეტის ნიწილს სროლა აუტეხესო.

სტამბოლი. გალიპოლში ოსმალეთის ჯარის გადაყვანა არ შეწყვეტილა. სტამბოლში გერმანიის ორი დირიჟაბლი მოიტანეს.

სოფია. შარქიოის მცხოვრებნი სთხოვენ ბულგარეთის ჯარის უფროსებს, დაარსონ კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ოსმალთა ჯარის ძარცვა-გლეჯა და შევიწროვება, რაც მცხოვრებთ მიაყენესო.

სტამბოლი. უნიონისტების გაზეთები სწერენ, რომ, თუ ოსმალეთი იარაღით საპატიო ზავის ჩამოგდებას ვერ მიახწევს, მშვიდობიანობამდე ჯერ კიდევ შორს არისო.

ბუქარესტი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ერთობა-პროგრესის კომიტეტის მდგომარეობა მეტად უხერხულია. ადრიანოპოლის დათმობა აუცილებელია. კომიტეტი ცდილობს უფლება სხვის ხელში გადასცეს, რათა ამით პასუხის მგებლობა აიცილოს.

ოსმალეთის მთავარ-შტაბის უთანხმოება.

გალიპოლის ჯარის უფროსი ბეხრი-ფაშა თანამდებობიდან გადააყენეს, ამის მიზეზად მის უვარგისობას ასახელებენ, მაგრამ ნამდვილად-კი მისი გადაყენება შედეგია ენვერ-ბეისა და ბეხრი-ფაშის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებისა, რომელმაც თავი იჩინა აგრეთვე მთავარშტაბშიაც. იზეთ-ფაშა მომხრეა თავდაცვის გეგმისა, ხოლო ენვერ-ბეი კი მთელ ფრონტზე იერიშის მიტანას მოითხოვს.

ენვერ-ბეი.

ენვერ-ბეი უკვე განიკურნა ჭრილობისაგან და ჯავშნოსან „ბარბაროსა“-თი გალიპოლის ნახევარ კუნძულზე გაემგზავრა იმ ჯარის სამეთაუროდ, რომელსაც ბეხრი-ფაშა უფროსობდა.

შიმშილი ოსმალეთის ჯარში.

სტამბოლიდან იტყობინებიან: გალიპოლისა და დარდანელის ჯარში შიმშილობაა. მრავალი ჯარის-კაცი და აფიცერი დარდანელში მოდის პურის სათხოვნად. მდგომარეობა აუტანელია.

ოსმალეთის ფლოტი.

სტამბოლიდან ბუქარესტს მისულმა სამგზავრო გემმა შემდეგი ცნობა მოიტანა: „5 თებერვალს შევნიშნეთ კრეისერი „მეჯიდიე“, რომელიც სამი ნაღმოსნით გამოვიდა სრუტიდან და ქსეროსის ყურესკენ გაემართა, ცოტა ხნის შემდეგ მათ მიემატა ჯავშნოსანი „თურღუთ-რეისი“. ნახევარი საათის შემდეგ მოისმა ზარბაზნის ფიცხელი სროლა. დავინახეთ, რომ ოსმალეთის სამხედრო გემები დიდი სიჩქარით მოცურავდნენ უკანვე სრუტეებისკენ, მათ კვალ და კვალ სროლით მისდევდა საბერძნეთის დიდი ჯავშნოსანი „ავეროვი“ და ხუთი ნაღმოსანი. ოსმალეთის ესკადრამ ძლივს უშველა თავს სრუტეებში“.

საბერძნეთის ჯარი მცირე აზიაში.

სტამბოლიდან ცნობაა: 5 თებერვალს ბეზიკის ყურეში (მცირე აზიის ნაპირზეა, დარდანელის სრუტის ახლოს) ინგლისის ორი კრეისერი იდგა. კუნძულ მიტელენესთან გაჩერდა 35 გემი საბერძნეთის ჯარით, ხოლო კუნ. ლემნოსთან კი 14 გემი სერბიის ჯარით. შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, რომ ეს ტრანსპორტები გალიპოლის ბრძოლის დაწყებას უცდიდნენ, რის შემდეგაც დაიწყეს ჯარის გადაყვანა ბეზიკიდან მცირე აზიაში.

მარმარილოს ზღვის სანაპიროები.

სტამბოლიდან ადესას მისულმა გემმა „ტიგრმა“ ამბავი მოიტანა, რომ მარმარილოს ზღვის იმ სანაპიროებში, რომელიც ბულგარეთის ხელშია, ნაღმებია ჩაწყობილი, რის გამოც მტრის მრავალი ტრანსპორტი აფეთქდაო.

ოსმალეთის შიში.

დიდმა ვეზირმა მაჰმუდ-შევქეთ-ფაშამ ანატოლიის ჯარის უფროსებს მიწერილობა დაუგზავნა, რომელშიაც იგი სთხოვს კორპუსის უფროსებს, შეადგინეთ ქურთებისა და ლაზების მოხალისეთა რაზმები, რომელნიც შესაძლოა რუსეთის საზღვრებზე სამოქმედოდ დაგვჭირდესო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

13 თებერვალი.

პარიზი. გამოქვეყნდა დეკრეტი, რომლითაც პეტერბურგიდან ლუის იბარებენ და მის მაგიერ დელკასეს ჰნიშნავენ.

ვენა. „ფრემდენბლატი“ სწერს: უკანასკნელ დღეებში საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდაო. რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვები, მიმართული ავსტრიის პუბლიცისტებისა და ჩეხიის წარმომადგენლებისადმი, ევროპის მშვიდობიანობის განმტკიცებას უცილობელს ჰხდიანო. გაზეთი აღნიშნავს რომ, არც მოპირდაპირეთა შორის და არც ბულგარეთ-რუმინიის შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ნიშნები არა სჩანსო.

პარიზი. ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ ხელით დაწერილ წერილის საპასუხოდ პუანკარემ დეპეშით გამოუცხადა მადლობა ანდრია პირველწოდებულ ორდენის ბოძებისათვის და ბედნიერება უსურვა მეფეს და დედოფალს, აგრეთვე მთელ სამეფო სახლსა.

პარიზი. ბარონ ბილინგს უბოძეს საპატიო ლეგიონის ვარსკვლავი.

ვენა. „პოლიტიშ. კორესპონდენც“-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ ოსმალეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების მიმდინარეობა, თანდათანი ზრდა ზავის ჩამოგდების სურვილისა და საომარი მდგომარეობა ლონდონის დიპლომატთა წრეებში იმედს იძლევა ბალკანეთის ომის დასასრულისას.

დეპეშები

(დ. პეშათა პეტერბ. სააგენტო)

13 თებერვალი.

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ

მაუანი (საფრანგეთი). კლდის აფეთქების დროს, დაიღუპა ქვა-თორილის წვიმისაგან რამდენიმე მუშა. ჯერ-ჯერობით 24 გვამი იპოვნეს.

ბერლინი. გარდაიცვალა ჩილიის ელჩი მატე.

მექსიკო. რეიტერის ცნობით, მექსიკოში მშვიდობიანობის დამყარების იმედი აქვთ. ჩრდილო ნაწილში მეამბოხეთა მოქმედება თან-და-თან ძლიერდება.

ლუქსორი. ნაპრეზიდენტალმა პორფირი-დიაცმა განაცხადა, რომ მექსიკოში მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ პრეზიდენტად ენერგიით აღსავსე უერტს ამოირჩევენო.

ლონდონი. სუფრაჟისტი პანკჰორსტი სამართალში მისცე. მას ჰბრალდება ლოიდ ჯორჯის მოკვლის გამზრახველთა წაქეზება.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქალაქის თავი გლაზუნოვი გარდაიცვალა.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოში შეიტანეს უმაღლესი წინადადება ფინლიანდიის სეიმსა, რათა 1914 წელს ხალხის განადლებისვითს 11.052.000 მარკა გადაიდოს.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბათუმი. თებერვლის ცხრას „მოგზაურის“ დასმა წარმოადგინა შმაევსკის თეატრში „ორი გმირი“ ისტორ. დრ. 3 მოქ. გადმოკეთებული გუნიასი.

ლევან გურიელის როლს ბ. კორიშელი ასრულებდა. ამ მსახიობს საზოგადოთ დიდი დაკვირვება ეტყობა როლის შესრულების დროს, ამ ჟამადაც ჩვეულებრივი დაკვირვება გამოიჩინა. ტარიელის როლი მურუსიძემ საკმაოთ გრძნობიერათ შეასრულა. მას ხელს უწყობდა მკაფიო კილო.

სარელი (მთავარი მამია) პირნათლად გამოდის ხოლმე როლების კარგათ ცოდნით.

ქ-ნ ბეჟანიშვილისას (დუდუხან, ლევანის მეორე ცოლი) არა უჭირდა-რა გაიძვერა ცბიერ აფხაზის ქალის დასურათხატებაში.

დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ საზოგადო ანსამბლს.

დასასრულ დასდგეს 2 მოქ. კომედია რ. ერისთავისა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. კარგი იყო ამ კომედიაში ს. ხარაზიშვილი (ბარონ ოსეფ). ჯაყელს (სერგო) და ყალაბეგაშვილს (აპოლონ) არა უჭირდათ-რა; ნამეტნავათ კომიკურათ შეასრულა ყალაბეგაშვილმა.

ტრ. ი—ძე.

წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო ბ. ანდრი ლევანის ძე ქავთარაძეს, რომელმაც ფოთში ჩემ მიერ დაარსებულ ქალთა ჭრა-კერვის სკოლას ამ წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ გამოუწერა.

პატივისცემით სკოლის გამგე **ნ. ლოლუა.**

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ჯ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. სად. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, სად. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, სად. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, სად. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, სად. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: ს. ხ.-საბ. № 83/7, სად. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 3 წ. **სახ.-საბ.** № 69, სად. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, სად. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, სად. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, სად. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, სად. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ № 27/28. დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. სად 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п. სად. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 8 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, სად. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/I კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევანისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

განცხადებანი

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მეხანიკური ნაწარმოები. 30.

ბაღოსნობა
ძმ. ავსარქისოვებისა
სად. სკრაში (კავკ. რკ. გზა).
ჰგზავნის ხეხილის ნერგებს საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელ-მისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 93

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ილამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.



Метцль 529935 529954

1021.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩ. № 3. [illegible]

ახლად გაიხსნა
სამშობიარო თავშესაფარი
ი. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევის
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახები. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—1 საათამდე თავშესაფარის გამგე ექიმი ა. გ. ავეტისოვი.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 101

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. [illegible] კონსულტატიურად.
ა. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბგაზარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუშეგიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბუღეხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარამეტიანცი: 12—1 ს. [illegible] საბავშვო და ყვავილის აცრა.
[illegible] ო. გ. ტერ-დავიდოვისა —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
ს ა ღ ა მ ო თ ი.
მ. გ. ბუღეხიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რეინგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა [illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1604 დოქტორი ა. ა. ნავასარდიანი.

სამკურნალო გოგირდის აბანო
„ფანტაზია“
ვორონცოვის ქ. ტროლეის ლიანდაგზე
ახლად შეკეთებული
მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრისა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35°/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიათ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115. 16 4

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მემონროება“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია
მოხარშული დოში, ზურგიელი,
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.